უნისონი
სადაზღვევო კომპანია

# საინფორმაციო ფურცელი

# ИНФОРМАЦИОННЫЙ ЛИСТ

დეპონირებული ხელშეკრულების #:

N220966448

# საინფორმაციო ფურცელი
# Информационный лист

**აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.**

**საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და, შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.**

**Указанный информационный лист представляет собой неисчерпывающую информацию об условиях страхования и не является документом, имеющим такую же юридическую силу, как договор страхования. Признание информационного листа и связанных с ним разъяснений не создает правовых последствий и, следовательно, требований между сторонами.**

| მზღვეველის დასახელება<br>СТРАХОВЩИК | დაზღვევის ხელშეკრულების სახე<br>ВИД ДОГОВОРА СТРАХОВАНИЯ | სადაზღვევო პროდუქტის დასახელება<br>НАЗВАНИЕ СТРАХОВОГО ПРОДУКТА |
|---|---|---|
| სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"<br>АО «Страховая компания УНИСОН» | ავტოტრანსპორტის დაზღვევა<br>Условия страхования автотранспорта (договор) | სრული კასკო ნახევარ ფასად 50/50<br>Полное Каско за полцены |

## დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები

- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, სხვადასხვა საგნის დაცემა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ნაწილობრივი ან სრული დაზიანება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი, მოძრაობისას ასხლეტილი კენჭით დაზიანება, ცხოველთან შეჯახება, სტიქიური მოვლენები

## ОПИСАНИЕ РИСКА ЗАСТРАХОВАННОГО ЛИЦА И УСЛОВИЯ СТРАХОВОГО ПОКРЫТИЯ

- Пожар, взрыв, падение меха, Падение различных предметов, Частичное или полное повреждение в результате дорожно-транспортного происшествия, Кража, грабеж, кража со взломом, вандализм, Повреждение щебнем во время движения, Столкновение с животным, Природные явления

## პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი

- ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა.

- დაზღვევის შეწყვეტისას შეწყვეტამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება და ამავდროულად:
ა) თუ არ არის ანაზღაურებული ზიანი და ასევე დამზღვევს არ აქვს ნასარგებლები არანაირი ფასიანი ბენეფიტით, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს შეწყვეტის დღისთვის გამომუშავებულ პრემიას დამატებული გამოუმუშავებელი პრემიის 10% (მაგრამ

## ПРЕДПОСЫЛКИ, РАЗМЕР И ПОРЯДОК ОПЛАТЫ ПРЕМИИ, ЗА ИСКЛЮЧЕНИЕМ ЛЮБЫХ ДРУГИХ ФИНАНСОВЫХ РАСХОДОВ ПОЛЬЗОВАТЕЛЯ - СОГЛАСНО ПРИЛОЖЕНИЮ К ДОГОВОРУ. (ОТНОСИТСЯ К СТРАХОВОМУ ПАКЕТУ, ВЫБРАННОМУ СТОРОНОЙ)

- В связи с неуплатой по установленным условиям и в установленные сроки одноразового или очередного страхового взноса страховщик вправе наложить на страхователя неустойку в размере 0,1% от неуплаченной суммы задолженности, за каждый день просрочки, не более суммарной страховой премии, определеной полисом.

- При прекращении страхования страховая премия, заработанная до прекращения, возврату не подлежит и, в то же время:
а) В случае отсутствия возмещенного убытка, а также получения Страхователем какого-либо ценного бенефита, Страхователь обязан уплатить Страховщику 10% от незаработанной премии, прибавленной к премии, полученной

არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).
ბ) თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში ზიანი ანაზღაურებული არ არის, მაგრამ დამზღვევს ნასარგებლები აქვს, დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული დამატებითი  ერთი ან რამდენიმე ფასიანი ბენეფიტებით, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს გამომუშავებულ პრემიას დამატებული მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10% (მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

- დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია მზღვეველის პროვაიდერ სერვის ცენტრში დაზიანებული ავტომანქანის შეფასებიდან და ინვოსის შედგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ავტომანქანის პროვაიდერი სერვის ცენტრიდან გადაყვანა, აღნიშნული ვადის გასვლის და/ან დაზიანებული ავტომანქანის პროვაიდერი სერვის ცენტრიდან გაყვანის შემდეგ მზღვეველი და პროვაიდერი სერვის ცენტრი იხსნის პასუხისმგებლობას ავტომანქანის ნებისმიერ დამატებით დაზიანებაზე და უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს/ უფლებამოსილ მძღოლს პროვაიდერის სერვის ცენტრში პარკირების გადასახადი ყოველდღიურად 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

დამზღვევს/დაზღვეულს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში –  მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

**აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:**

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;
ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;
გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;
დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;
ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამზღვევა/დაზღვეულმა მზღვეველს უნდა მიმართოს ელექტრონულ ფოსტაზე unison@unison.ge, მატერიალურად წარმოადგინოს განცხადების ფორმით მზღვეველის მისამართზე (ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქუჩა 19/ ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. 31) ან ელექტრონულად შეავსოს მზღვეველის ოფიციალურ

на день расторжения (но не более полной страховой премии, предусмотренной страховым полисом);
в) Если ущерб не возмещается в течение периода страхования до расторжения договора, но Страхователь получает дополнительную одну или несколько ценных бенефитов, предусмотренных страховым полисом, в таком случае Страхователь обязан уплатить Страховщику 10% от общей страховой премии, прибавленной  к заработанной премии (но не более полной страховой премии, предусмотренной страховым полисом).

- Страхователь/Уполномоченный водитель обязан обеспечить транспортировку поврежденного транспортного средства из сервис-центра провайдера за свой счет в течение 3 (трех) рабочих дней с момента оценки поврежденного транспортного средства в сервис-центре провайдера Страховщика и составления акта отказывается от ответственности за любой дополнительный ущерб транспортному средству и имеет право взимать со Страхователя/уполномоченного водителя ежедневную плату за парковку в сервис-центре провайдера в размере 5 (пяти) лари;

Страхователь вправе без указания причин, неустойки или доплаты отказаться от договора в случае дистанционного или выездного договора страхования - в течение 14 дней с момента его заключения.

**Этот пункт не распространяется в случае:**
а) услуги, стоимость которых не превышает 30 лари;
б) договора страхования, срок действия которых меньше срока действия права отказа;
в) договор страхования, относящийся к основному договору, если основной договор не содержит права отказа;
г) на договор страхования, цена которого зависит от изменений на финансовом рынке, которые не находятся под контролем страховщика и которые могут произойти в период реализации права на отказ от договора
д) если страхователь до истечения права на отказ от договора прямо и ясно потребовал, с учетом условий договора страхования, получения услуги и страховщик предоставил информацию что, получив соответствующую услугу, он теряет право на отказ.

В случае отказа от договора страхователю необходимо обратиться к страховщику по электронной почте unison@unison.ge  представить заявления в материальной форме на адрес страховщика (Тбилиси, ул. Д. Гамрекели, 19). / ул.Батуми, ул. Димитрий Тавдадебули, 31) или заполнить в

საიტზე მითითებული ზემოაღნიშნული განცხადების ფორმა.

электронном виде на официальном сайте страховщика, указанном в вышеуказанной форме заявки.

## ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები/ ВИД, РАЗМЕР И ПРИМЕНЕНИЕ ФРАНШИЗЫ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად/В СООТВЕТСТВИИ СО СТРАХОВЫМ ПОЛИСОМ

### დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი

- 21 წლამდე ასაკის მძღოლებისათვის და /ან 1 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე მძღოლის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მხოლოდ 50%-ით (მათ შორის როდესაც დაუდგენელია ზარალის გამომწვევი მიზეზი), ხოლო იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი მძღოლი არაა ბრალეული დამდგარ შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება სრულად. პრემიის ან მისი პირველი შენატანის გადახდამდე შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმაზე და საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებზე.

- დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეელის მიერ ანაზრაურებას არ დაექვემდებარება.

**განსაკუთრებული პირობა: პირველივე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რა დროსაც მზღვეველს წარმოეშვება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება, „დამზღვევი" ვალდებულია დამატებით გადაიხადოს წინამდებარე პოლისით დადგენილი სრული სადაზღვევო პრემიის ერთმაგი ოდენობა. პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში „მზღვეველი" უფლებამოსილია გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას დააკლოს გადასახდელი სადაზღვევო პრემიის შესაბამისი**

### ИСКЛЮЧЕНИЯ ИЗ СТРАХОВКИ, ПОЛНЫЙ СПИСОК УСЛОВИЙ

- Для водителей моложе 21 года и/или в случае водителя со стажем вождения менее 1 года компенсируется только 50% убытка (в том числе, когда причина убытка неизвестна), а если уполномоченный водитель не виноват, ущерб будет возмещен в полном объеме. Дела не подлежат возмещению до выплаты премии или ее первого взноса. Страховая защита не распространяется на наложенные на владельца и/или водителя застрахованного транспортного средства административные и иные штрафы, связанные с эксплуатацией застрахованного транспортного средства, а также на расходы по стоянке на штрафной стоянке.

- В случае первого нарушения Страхователем установленного настоящим Договором порядка уплаты премии (премия и/или ее часть не была уплачена в срок или в установленном размере), Страховщик освобождается от выполнения своих обязательств по Договору. Страховщик имеет право приостановить действие Договора и не возмещать страховые случаи по истечении14 календарных дней с даты нарушения графика, без какого-либо уведомления, до полного выполнения страхователем своих финансовых обязательств. Договор страхования возобновляется только после уплаты Страхователем страховой премии. После погашения задолженности Страховщик больше не рассматривает случаи в период задолженности как страховые случаи, и услуги, оказанные в этот период, не подлежат возмещению Страховщиком.

**Особое условие: при наступлении первого страхового случая, когда у «Страховщика» возникает обязанность по выдаче страхового возмещения «страхователь» обязан дополнительно уплатить единый размер полной страховой премии, установленной настоящим полисом. В случае неуплаты премии «Страховщик» вправе удержать из страхового возмещения сумму, соответствующую подлежащей уплате страховой премии. Размер премии,**

თანხა. წინამდებარე პოლისით დადგენილი პრემიის ოდენობის გაზრდა ხდება მხოლოდ ერთხელ პოლისის მოქმედების პერიოდში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს დამზღვევს გააჩნია მზღვეველის წინაშე დებიტორული დავალიანება გადასახდელი სადაზღვევო პრემიის სახით და ასანაზღაურებელი თანხა აღემატება აღნიშნულ დავალიანებას, მზღვეველი უფლებამოსილია ზარალის ანაზღაურების დროს მოახდინოს ურთიერთშემხვედრი ვალდებულებების გაქვითვა და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დებიტორული დავალიანების გამოკლებით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს დამზღვევს გააჩნია მზღვეველის წინაშე დებიტორული დავალიანება სადაზღვევო პრემიის სახით და ასანაზღაურებელი თანხა ნაკლებია აღნიშნულ დავალიანებაზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდდამხოლოდ დებიტორული დავალიანების გადახდის შემდეგ;

იხილეთ სრულყოფილი ჩამონათვალი ხელშეკრულების 1.3; 4.1.17; 4.1.19; 4.1.20; 4.4.7; 4.4.8; 4.4.9; 4.4.10; 4.4.12; 4.4.13; 6.1.და მე-7 პუნქტებში.

## სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

იხილეთ ხელშეკრულების 4.1.6.; 4.1.7; 4.1.8; 4.1.9.; 4.1.10; 4.1.11; 4.1.12; 4.1.13; 4.1.14; 4.1.15; 4.1.16; 4.1.17, 4.1.21, 4.1.22; 4.1.23; 4 4.1.24; 4.3; 4.4; 5; პუნქტებში.

установленной настоящим полисом, увеличивается только один раз в течение срока действия полиса и только в случае наступления страхового случая.

При выдаче страхового возмещения:

а) В случае, если на момент выдачи страхового возмещения у страхователя имеется дебиторская задолженность перед страховв виде подлежащей уплате страховой премии и сумма, подлежащая возмещению, превышает указанную задолженность, страховщик вправе вычесть взаимные обязательства при возмещении убытка и выдать страховое возмещение за вычетом дебиторской задолженности;
б) в случае, если на момент выдачи страхового возмещения у страхователя имеется причитающаяся страховщику задолженность в виде страховой премии и сумма, подлежащая возмещению, меньше указанной задолженности, страховое возмещение выдается страховщиком только после выплаты дебиторской задолженности;

Полный список см. в пунктах 1.3; 4.1.17; 4.1.19; 4.1.20; 4.4.7; 4.4.8; 4.4.9; 4.4.10; 4.4.12; 4.4.13; 6.1 и 7.

## УКАЗАНИЕ ПУНКТА(ОВ), ОПРЕДЕЛЯЮЩИХ: ПОДРОБНЫЕ ПРОЦЕДУРЫ ОТПРАВКИ УВЕДОМЛЕНИЯ СТРАХОВЩИКУ, ПОДАЧИ ПРЕТЕНЗИЙ, РЕГУЛИРОВАНИЕ ПРЕТЕНЗИЙ И СТРАХОВОЕ ВОЗМЕЩЕНИЯ ПРИ НАСТУПЛЕНИИ СТРАХОВОГО СЛУЧАЯ;

Полный список см. в пунктах 4.1.6 4.1.7; 4.1.8; 4.1.9.; 4.1.10; 4.1.11; 4.1.12; 4.1.13; 4.1.14; 4.1.15; 4.1.16; 4.1.17, 4.1.21, 4.1.22; 4.1.23; 4 4.1.24; 4,3; 4,4; 5;